

შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა
და
დანის სამეფოს მთავრობას შორის
განვითარების მიზნით თანამშრომლობის შესახებ

პრეამბულა

საქართველოს მთავრობა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც საქართველო) და დანის სამეფოს მთავრობა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც დანია), ერთად მოხსენიებული, როგორც "მხარეები",

სურთ რა განვითარების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაძლიერება,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეთა ვალდებულებები

1. დანია უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსური დახმარებით, მატერიალური რესურსებით, ტექნიკური დახმარებით და ტრენინგის შესაძლებლობებით. საქართველო უზრუნველყოფს აღნიშნული დახმარებისა და ტრენინგის შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას.
2. კონკრეტული პრობემები და პროცედურები, მათ შორის, ორი მხარის კონკრეტულ პროექტებთან, პროგრამებთან და ამ შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ სხვა ერთობლივ საქმიანობებთან (შემდგომში მოხსენებული, როგორც „პროგრამები“) დაკავშირებული ფინანსური და სხვა ვალდებულებები განისაზღვრება მხარეების მიერ თითოეულ შემთხვევაში კონკრეტული შეთანხმებით, მათ შორის, ადმინისტრაციულ დონისძიებებზე შეთანხმებებით (შემდგომში მოხსენებული, როგორც კონკრეტული შეთანხმებები), რომლებიც დაიდება წერილების გაცვლით, ამ შეთანხმებაზე მითითებით.
3. ამ შეთანხმების განხორციელებისას დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია წარმოადგინოს დანია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველო (შემდგომში მოხსენებული, როგორც კომპეტენტური ორგანოები).

მუხლი 2

აღმასრულებელი სააგენტოები

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის ტერმინი “აღმასრულებელი სააგენტოები” ნიშნავს ნებისმიერ საჯარო ხელისუფლების ორგანოს, კერძო ან არასამთავრობო სტრუქტურას, რომელიც მოწონებულია მხარეების მიერ და რომელთანაც დანიას დადებული აქვს კონტრაქტი ამ შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმებების განსახორციელებლად.
2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი: “ექსპატრიანტი აღმასრულებელი სააგენტო” ნიშნავს საქართველოს გარდა სხვა ქვეყნების ნებისმიერ საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციას.
3. დანია, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმებებით, აანაზღაურებს აღმასრულებელი სააგენტოების მიერ გაწეული მომსახურების თანხებსა და ამ სააგენტოების ხარჯებს დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, იმ ხარჯების გარდა, რომლებიც ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უნდა დაფაროს საქართველომ.
4. საქართველო ექსპატრიანტ აღმასრულებელ სააგენტოებს უზრუნველყოფს შემდეგით:

- a) უსასყიდლოდ და გაუმართლებელი შეფერხების გარეშე გასცემს ყველა საჭირო ნებართვასა და უფლებამოსილებას ამ შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროექტების, პროგრამებისა და სხვა ერთობლივი საქმიანობების განხორციელებისათვის;
- b) გაათავისუფლებს მათ საშემოსავლო გადასახადისგან ან სხვა ნებისმიერი პირდაპირი გადასახადის ან მოსაკრებლისგან საქართველოს გარეთ არსებული ფონდებიდან ან რესურსებიდან ამ შეთანხმების შესაბამისად მათთვის საქართველოში გაწეული სამსახურისათვის გადახდილ ნებისმიერ ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- c) გაათავისუფლებს მათ საქართველოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოსათვის ნებისმიერი საგადასახადო ან ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან, რაც მოეთხოვებათ კერძო პირებს ან საწარმოებს ამ შეთანხმების შედეგად მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით. ივულისხმება, რომ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამგვარი საგადასახადო ან ფინანსური დეკლარაციების წარდგენა უნდა მოხდეს იმ შემთხვევებში, როდესაც აღმასრულებელი სააგენტოების ფისკალურ ვალდებულებებზე არ ვრცელდება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათები.
- d) არ დაუწესებს მათ სავალუტო ან უცხოური ვალუტის კურსთან დაკავშირებულ შეზღუდვებს იმ ფონდებთან მიმართებაში, რომლებიც გადაგზავნილია საქართველოში ექსპატრიანტი აღმასრულებელი სააგენტოების მიერ ამ შეთანხმებით განსაზღვრული საქმიანობების განსახორციელებლად, აგრეთვე ხელს შეუწყობს ასეთი ფონდების თანხების კონსერვაციასა და გადარიცხვას, ასევე საბანკო ანგარიშების გახსნას; და
- e) გაათავისუფლებს მათ პროფესიული რეგისტრაციისგან და სალიცენზიო მოთხოვნებისგან, თუ ამგვარი მოთხოვნები გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით; და
- f) ამ მუხლის მე-4 პუნქტის (c) ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოსათვის საგადასახადო ან ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიუხედავად, აღმასრულებელი სააგენტოები საჭიროებენ რეგისტრაციის გავლას ამ შეთანხმებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების მიღების მიზნით.

მუხლი 3

პერსონალი

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი "ექსპატრიანტი პერსონალი" ნიშნავს ფიზიკურ პირებს საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებიდან, იმ პირობით, რომ მათ ან მათ დამქირავებელს ამ შეთანხმების ფარგლებში დადებული აქვთ კონტრაქტი დანიასთან.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მოთხოვნის შემთხვევაში, ტექნიკური დახმარება შესაძლოა გაწეულ იქნეს ტექნიკური დახმარების პერსონალის საშუალებით (მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დანიშვნებით), რომელიც დაქირავებული იქნება დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ან ამ შეთანხმების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აღმასრულებელი სააგენტოების მიერ. ზემოაღნიშნული პერსონალის (შემდგომში მოხსენებული, როგორც პერსონალი) მომსახურება გულისხმობს გამოსადეგი, კვალიფიციური და გამოცდილი პირების ხელმისაწვდომობას საჭირო დროს.

3. თითოეული პროგრამისათვის საქართველოს კომპეტენტური ორგანო დანიის კომპეტენტურ ორგანოს მიაწვდის სამუშაოს სრულ დასახელებასა და აღწერილობას იმ პერსონალისათვის, რომელსაც დაიქირავენ დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა შემთხვევებში, საჭიროებისამებრ, განსაზღვრავს დასაკავებელ თანამდებობაზე შესასრულებელ მოვალეობებს და გასაწევ მომსახურებებს, ასევე იმ აუცილებელ და სასურველ კვალიფიკაციას, რომელიც უნდა ჰქონდეს კანდიდატს. სამუშაოს აღწერილობაში ნათლად უნდა იქნეს მითითებული, მოუწვევს თუ არა პერსონალს აღმასრულებელი საოპერაციო ფუნქციების შესრულება.

4. დანიის კომპეტენტური ორგანო თითოეული პროგრამის შემთხვევაში საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს მიაწვდის ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატების შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციას, კერძოდ, ინფორმაციას მათი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

5. დანიისა და საქართველოს კომპეტენტური ორგანოები თითოეული პროგრამისათვის ერთობლივად გადაწყვეტენ დანიის პერსონალის შესაბამისი პერსონალის საქართველოს მიერ დანიშვნის მასშტაბს, ან სხვა ზომებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს მიზნების მისაღწევად.

6. პერსონალი, თავისი მოვალეობების განხორციელებისას, წარიმართება საქართველოს ხელისუფლების ან იმ ორგანიზაციების მიერ, რომელთანაც იქნება დაკავშირებული და დაექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას, გარდა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რომლითაც მათ მიენიჭებათ სპეციალური შეღავათები.

7. საქართველო უზრუნველყოფს, რომ ექსპატრიანტი პერსონალი, მათი მეუღლეები და მათ კმაყოფაზე მყოფი პირები გარანტირებულნი იქნებიან კანონით სრული დაცვით და აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ ექსპატრიანტი პერსონალი, მათი მეუღლეები და კმაყოფაზე მყოფი პირები ისარგებლებენ პრივილეგიებით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე სხვა ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში დანიშნული იმავე კატეგორიის პერსონალისთვის მინიჭებული პრივილეგიები.

8. დანიის მიერ დანიშნული ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეების ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირების ნებისმიერი მიზეზით დაპატიმრების ან დაკავების შემთხვევაში, ან ამ პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს თბილისში აკრედიტებულ დანიის საელჩოს და დანიის საპატიო კონსულს საქართველოში,

რომელთა წარმომადგენელს უნდა მიეცეს უფლება შეხედეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს. ასეთ პირებს უფლება ექნებათ წარმოდგენილი იქნენ საელჩოს ან თვითონ ამ პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული ადვოკატის მიერ.

9. საქართველო პასუხისმგებელია ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეების და მათ კმაყოფაზე მყოფი პირების უსაფრთხოებაზე. კრიზისის შემთხვევაში, რომელიც გაელენას ახდენს საქართველოში მყოფი უცხოელი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, საქართველომ უნდა უზრუნველყოს რეპატრაციის საშუალებები ამ ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეების და მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე სხვა ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში დანიშნული პერსონალის, მათი მეუღლეებისა და კმაყოფაზე მყოფი იმავე კატეგორიის პირებისათვის გარანტირებული პირობები.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული გარემოების ან პირობების დადგომის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთთან გამართავენ კონსულტაციებს და მჭიდროდ ითანამშრომლებენ, რათა მინიმუმამდე შეამცირონ ნებისმიერი რისკი ან ზიანი ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეების და მათ კმაყოფაზე მყოფი პირების, ან მათი პირადი ნივთების, აგრეთვე ამ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული მასალების, აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

11. თუ ექსპატრიანტი პერსონალი, კრიზისის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოში აკრედიტებული დანიის საელჩოსა და საქართველოში დანიის საპატიო კონსულის ინსტრუქციების შესაბამისად ან იღებს სიფრთხილის ისეთ ზომებს, რომლებიც მიჩნეულია გამართლებულად შესაბამისი გარემოებების არსებობისას, და ამგვარად შეზღუდულია სამუშაოს თაობაზე ანგარიშგებისას, არ ჩაითვლება, რომ მან არ შეასრულა შესაბამისი კონტრაქტის მიხედვით განსაზღვრული სამუშაო.

12. საქართველოს უფლება აქვს მოითხოვოს პერსონალის ნებისმიერი წევრის გაწვევა, რომლის მუშაობა ან საქციელი მიაჩნია არადაამაკმაყოფილებლად. ამ უფლების გამოყენებამდე საქართველოს კომპეტენტური ორგანო კონსულტაციას გაივლის დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

13. დანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაიწვიოს ექსპატრიანტი პერსონალის ნებისმიერი წევრი. ამ უფლების განხორციელებამდე, დანია, ამ მიზნით გაივლის კონსულტაციას საქართველოსთან, ისევე როგორც საქართველოს მოთხოვნის შემთხვევაში ამ პერსონალის სწრაფად ჩანაცვლების უზრუნველყოფის მიზნით მისაღები ზომების შესახებ, თუ განსაკუთრებული გარემოებები არ მოითხოვს პირის დაუყოვნებლივ გაწვევას.

14. მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმების შემთხვევაში, მოვალეობების შესრულების პერიოდში ექსპატრიანტი პერსონალი შეიძლება გადაყვანილი იქნეს ერთი თანამდებობიდან მეორეზე ან დაეკისროს სხვა ფუნქციების განხორციელება.

15. დანია გადაიხდის პერსონალის ხელფასებს და დაფარავს მათთვის საჭირო ყველა ხარჯებს დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ეს ხარჯები ანაზღაურებული არ იქნება საქართველოს მიერ ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად.

16. საქართველოს, შესაძლებლობის ფარგლებში, შეუძლია უზრუნველყოს პერსონალი სამუშაო ოფისით, ტრანსპორტით, სამდივნო მომსახურებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში დანიშნული პერსონალისთვის. საქართველო უზრუნველყოფს სამუშაოდან გათავისუფლებას შვებულების, ავადმყოფობის, ფეხმძიმობის, მშობიარობის შემთხვევებში შესაბამისი დასაქმების კონტრაქტების მიხედვით.

17. საქართველო ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეების და მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისთვის უზრუნველყოფს:

a) სახელმწიფო სამხედრო სამსახურის ან ნებისმიერი სხვა სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებას;

b) უფლებას გახსნან საბანკო ანგარიშები; ნებისმიერი სავალუტო ან უცხოურ ვალუტაზე შეზღუდვებისგან გათავისუფლებას, რომლებიც დაწესებულია საქართველოში არსებულ საგარეო ფონდებზე, ასევე ამ ფონდების თანხების, ისევე როგორც იმ ამონაგები თანხების კონვერტაციის ან ექსპორტის (გადარიცხვის) უფლებას, რომლებიც მიღებულია ამ მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტების დებულებების შესაბამისად იმპორტირებული და/ან გაყიდული საყოფაცხოვრებო საქონლიდან ან პირადი ქონებიდან; და

c) პროფესიული რეგისტრაციისგან და სალიცენზიო მოთხოვნების შესრულებისგან გათავისუფლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. საქართველო უზრუნველყოფს ექსპატრიანტი პერსონალის, მათი მეუღლეებისა და კმაყოფაზე მყოფი პირების გათავისუფლებას:

a) პირადი საშემოსავლო გადასახადისგან და ნებისმიერი სხვა პირდაპირი გადასახადისგან და მოსაკრებლისგან, მათ შორის, სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდებში შენატანებისგან ნებისმიერ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელსაც უხდის მათ დანია ამ შეთანხმების შესაბამისად საქართველოში სამსახურისათვის;

b) საქართველოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოსათვის ნებისმიერი საგადასახადო ან ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან, რაც მოთხოვრებათ საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს ამ მუხლის მე-18 (a) პუნქტში აღნიშნულ ანაზღაურებებთან დაკავშირებით; იგულისხმება, რომ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამგვარი საგადასახადო ან ფინანსური დეკლარაციების წარდგენა უნდა მოხდეს, როდესაც ექსპატრიანტი პერსონალის საგადასახადო ვალდებულებებზე არ ვრცელდება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათები;

მუხლი 4

პასუხისმგებლობა

1. საქართველო იღებს პასუხისმგებლობას ყველა იმ რისკზე, რომელიც წარმოიშობა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შედეგად დანიასა და საქართველოს შორის განვითარებისათვის თანამშრომლობის პროექტების/პროგრამების ფარგლებში. საქართველო, კერძოდ, პასუხისმგებელია განიხილოს სარჩელები, რომლებიც შეიძლება წარდგენილი იქნეს მესამე მხარის მიერ აღმასრულებელი სააგენტოების ან მათი პერსონალის წინააღმდეგ, რომლებზედაც ვრცელდება ეს შეთანხმება და უზრუნველყოს ამ პირთა გათავისუფლება იმ სარჩელების ან პასუხისმგებლობებისაგან, რომლებიც წარმოიშობა ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სასამართლო დაადგენს, რომ ასეთი სარჩელი ან პასუხისმგებლობა წარმოიშვა აღმასრულებელი სააგენტოების ან მათი პერსონალის დაუდევრობით, განზრახ არასწორი ქმედებით ან დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

3. საქართველოს უფლება აქვს გამოიყენოს რეგრესის ნებისმიერი უფლება, შეგებებული სარჩელი, დაზღვევა, კომპენსაცია, კონტრიბუცია ან გარანტია, რომელთა მიმართ დანია, აღმასრულებელი სააგენტოები ან მათი პერსონალი შეიძლება გახდნენ უფლებამოსილნი. საქართველოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, დანია საქართველოს შესაბამის უწყებებს გაუწევს საჭირო ადმინისტრაციულ ან იურიდიულ დახმარებას იმ პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების განხორციელების დროს.

მუხლი 5

მატერიალური რესურსები/საქონელი

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი "საქონელი" ნიშნავს ნაკეთობებს, მასალებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მანქანა-დანადგარებს, აღჭურვილობას, სათადარიგო ნაწილებს და ნებისმიერ სხვა საქონელს, რომელზე ხელმისაწვდომობაც უზრუნველყოფილია დანიის ან აღმასრულებელი სააგენტოს მიერ ამ შეთანხმების შესაბამისად განსახორციელებელი პროექტებისათვის, ან ნებისმიერ სხვა საქონელს, რომელიც მიწოდება საქართველოს კონკრეტული შეთანხმებების საფუძველზე.

2. დანია, თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმებებით:

a) დაფარავს ფაქტობრივ ხარჯებს, კერძოდ, შესყიდვის, ტრანსპორტირების და საჭიროების შემთხვევაში, დაზღვევის ხარჯებს საქონლის თითოეულ პარტიასთან დაკავშირებით;

b) პასუხისმგებელი იქნება საქართველოსთვის საქონლის შესყიდვასა და მიწოდებაზე;

c) აღმასრულებელ სააგენტოებს მოსთხოვს საქართველოს მიერ დანიშნული სააგენტოებისათვის დაუყოვნებლივ, ტვირთის გაგზავნისთანავე ტვირთის საქართველოში ჩასვლის მოსალოდნელი თარიღის შეტყობინებას, აგრეთვე ტვირთის თანმხლები სატრანსპორტო დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნას.

3. საქართველო, თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმებებით:

- a) საჭიროების შემთხვევაში დანიას შეატყობინებს იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც საჭიროა განბაჟებისათვის და მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში მოქმედი იმპორტის და განბაჟების პროცედურების შესახებ;
- b) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სწრაფად და უსასყიდლოდ გასცემს აუცილებელ საიმპორტო ღიაცენზიებს და საქონლის იმპორტისათვის საჭირო სხვა ნებართვებს;
- c) გაათავისუფლებს ან თავად დაფარავს საქონლის საქართველოში შემოტანისათვის საჭირო საბაჟო გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა შესაბამის გადასახდელებს, ასევე შეეცდება გაათავისუფლოს საქონელი იმპორტზე ან ექსპორტზე დაწესებული აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან;
- d) უზრუნველყოფს იმპორტირებული საქონლის სწრაფ და უსაფრთხო მიღებას, დამუშავებას, განბაჟებას, გადატვირთვასა და შემდგომ ტრანსპორტირებას;
- e) მიიღებს ყველა საჭირო ზომას და წამოიწყებს აუცილებელ პროცედურას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს საქონლის პარტიის სრულად ან ნაწილობრივ დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში წარმოშობილ პრეტენზიებთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ შეატყობინებს დანიას აღნიშნულის შესახებ;
- f) ხელს შეუწყობს საქართველოში შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციას.

4. საქონელი, მათ შორის, პროგრამისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები, საქართველოს საკუთრება გახდება თითოეული კონკრეტული შეთანხმებით განსაზღვრული დროისათვის, ან მოხდება ამ საქონლის რეექსპორტი. ამასთან, საქონელი ყოველთვის იქნება შესაბამისი პროექტის, პროგრამის მიერ ან ამ შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული სხვა ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ექსკლუზიური განკარგვის საგანი მთელი მათი განხორციელების პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 6

სტიპენდიები

1. სტიპენდიები დანიაში ან სხვა ქვეყნებში სწავლისათვის პროექტის ან პროგრამის ფონდებიდან ხელმისაწვდომი იქნება იმ კანდიდატებისათვის, რომელნიც ჩართულნი იქნებიან დანიის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებში. ამ კანდიდატების

c) აღმასრულებელ სააგენტოებს მოსთხოვს საქართველოს მიერ დანიშნული სააგენტოებისათვის დაუყოვნებლივ, ტვირთის გაგზავნისთანავე ტვირთის საქართველოში ჩასვლის მოსალოდნელი თარიღის შეტყობინებას, აგრეთვე ტვირთის თანმხლები სატრანსპორტო დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნას.

3. საქართველო, თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმებებით:

a) საჭიროების შემთხვევაში დანიას შეატყობინებს იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც საჭიროა განბაჟებისათვის და მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში მოქმედი იმპორტის და განბაჟების პროცედურების შესახებ;

b) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სწრაფად და უსასყიდლოდ გასცემს აუცილებელ საიმპორტო ლიცენზიებს და საქონლის იმპორტისათვის საჭირო სხვა ნებართვებს;

c) გაათავისუფლებს ან თავად დაფარავს საქონლის საქართველოში შემოტანისათვის საჭირო საბაჟო გადასახადებს, მოსაკრებლებსა და სხვა შესაბამის გადასახდელებს, ასევე შეეცდება გაათავისუფლოს საქონელი იმპორტზე ან ექსპორტზე დაწესებული აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან;

d) უზრუნველყოფს იმპორტირებული საქონლის სწრაფ და უსაფრთხო მიღებას, დამუშავებას, განბაჟებას, გადატვირთვასა და შემდგომ ტრანსპორტირებას;

e) მიიღებს ყველა საჭირო ზომას და წამოიწყებს აუცილებელ პროცედურას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს საქონლის პარტიის სრულად ან ნაწილობრივ დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში წარმოშობილ პრეტენზიებთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ შეატყობინებს დანიას აღნიშნულის შესახებ;

f) ხელს შეუწყობს საქართველოში შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციას.

4. საქონელი, მათ შორის, პროგრამისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები, საქართველოს საკუთრება გახდება თითოეული კონკრეტული შეთანხმებით განსაზღვრული დროისათვის, ან მოხდება ამ საქონლის რეექსპორტი. ამასთან, საქონელი ყოველთვის იქნება შესაბამისი პროექტის, პროგრამის მიერ ან ამ შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული სხვა ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ექსკლუზიური განკარგვის საგანი მთელი მათი განხორციელების პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 6

სტიპენდიები

1. სტიპენდიები დანიაში ან სხვა ქვეყნებში სწავლისათვის პროექტის ან პროგრამის ფონდებიდან ხელმისაწვდომი იქნება იმ კანდიდატებისათვის, რომელნიც ჩართულნი იქნებიან დანიის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებში. ამ კანდიდატების

ნომინირება მოხდება საქართველოს, ხოლო დამტკიცება - დანიის მიერ. პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებზე კურსებისა და სემინარებისთვის გამოიყოფა დამატებითი შეზღუდული ფონდები.

2. სტიპენდიები სპეციალიზებული სწავლებისათვის მიეცემათ მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომელთაც დასრულებული აქვთ საბაზისო განათლების მიღება. სასწავლო პროგრამები ჩვეულებრივ მომზადდება ინგლისურ ენაზე.

3. სტიპენდიები დაფარავს:

მგზავრობის ხარჯებს სამუშაო ადგილიდან სწავლის ადგილამდე და უკან;

a) მთლიანად საცხოვრებელ ხარჯს და სწავლის გადასახადს, წიგნების, სხვა ნივთებისა და პირად ხარჯებს სწავლის პერიოდში, დანიის მოქმედი წესებისა და განაკვეთების შესაბამისად.

4. სტიპენდიანტის ხელფასისა და სხვა დანამატების გადახდა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველო უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტიპენდიანტი დაუბრუნდება საქართველოში თავის ყოფილ სამუშაო ადგილს.

მუხლი 7

შეფასება

თანამშრომლობის განხორციელებისა და შეფასების, ასევე მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით კომპეტენტური ორგანოები გამართავენ ორმხრივ კონსულტაციებს და მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, რომლის მოთხოვნა შესაძლოა მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული თითოეული მხარის მიერ.

მუხლი 8

დავების გადაწყვეტა

ამ შეთანხმების ინტერპრეტაციის ან მისი განხორციელების დროს ნებისმიერი შეუთანხმებლობის შემთხვევაში წარმოშობილი დავა გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 9

ცვლილებები და დამატებები

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ამ შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლოა ცალკეული ოქმების გაფორმების გზით, რომლებიც გახდება ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა ამ შეთანხმების მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 10

ძალაში შესვლა და შეწყვეტა


1. ეს შეთანხმება ძალაში შედის დანიის მიერ საქართველოდან დიპლომატიური არხებით ნოტის მიღების დღიდან, რომლითაც მოხდება დანიის ინფორმირება საქართველოს მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ.

2. ეს შეთანხმება ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ხუთწლიანი პერიოდებით, თუ იგი არ შეწყდება რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისათვის ექვსი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

3. ეს შეთანხმება აგრეთვე გავრცელდება იმ პროექტებზე, რომლებიც დაწყებულია ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დროისათვის.


შედგენილია 2007 წლის 9 ოქტომბერს ქ. კოპენჰაგენში ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით



გელა ბეჟუაშვილი
საგარეო საქმეთა მინისტრი

დანიის სამეფოს მთავრობის
სახელით



პერ სტიგ მიოლერი
საგარეო საქმეთა მინისტრი